პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 41 (6106)
1978 წ. 26 თებერვალი
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „დინამოს" შორის.

ს უ რ ა თ ზ ე: სემიროვი და ჩიხლაძე ბურთისთვის ბრძოლისას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

• • •

(მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვერდზე).



## საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

24 თებერვალს მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა. პლენუმზე მოწვეული არიან პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეები, რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოთა პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ნ. პ. რუდენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. ი. ბრიშაკოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი ო. თ. კულიშევი.

„სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების თაობაზე" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ" მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმზე გამოვიდნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინთბა, აბზეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ა. პეტრიაშვილი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. მითანავა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი შ. მ. ეცადაშვილი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. ჰ. კონცელიძე, პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გ. დ. შელაძე, თბილისის „საქსოფლმანქანის" ქარხნის დირექტორი თ. კ. სტურუა, პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ა. ვ. ბურჯანაძე, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ბ. გადელია, პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი რ. ვ. მემარნიშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, პარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ნ. ნეფედოვი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. დ. კიკალიშვილი, პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ო. ი. მენაბდე, მწერალი ნ. ვ. დუმბაძე.

• • •

25 თებერვალს IX პლენუმზე გრძელდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენების განხილვა. განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი გ. ს. შულაროვი, გუდაუთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი კ. კ. ოზგანი, პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. დ. გედუაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ვ. ი. მეტრეველი, პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი გ. ი. გუნავა, გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი გ. ვ. გივიაშვილი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე დ. ე. სარიშვილი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ ნ. პ. რუდენკომ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა პ. ვ. მელნიკოვი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ო. თ. კულიშევი. (საქინფორმი).

## ფეხბურთი

გუშინწინ სოჭში გაიმართა მიმდინარე საფეხბურთო სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი სსრ კავშირის თასზე. ოცდამეთორმეტედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იაროსლავლის „შინიკი" და კრასნოდარის „ყუბანი". ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „შინიკმა" (ბურთი გაიტანა ზიუზინმა). განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 28 თებერვალს. მოგაგონებთ, რომ უმაღლესი ლიგის გუნდები ასპარეზობაში მეთექვსმეტედ ფინალიდან ჩაებმებიან.

თბილისის კიროვის სახელობის [...] სპორტულ დარბაზში ორ[...] მიმდინარეობდა დედაქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პირველობა მინიფეხბურთში. საასპარეზოდ გამოვიდა 24 სასწავლებლის 390 სპორტსმენი.

[...] ადგილი მოიპოვეს 26-ე ტექნიკური სასწავლებლის (დირექტორი [...] ლიპარტია, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი გ. უნაფხოშვილი) ფეხბურთელებმა. საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა დ. ჩაჩუას [...] სასწავლებელი), საუკეთესო [...] — ზ. მახარობლიშვილს [...], ხოლო საუკეთესო მცველი — შ. დუმბაძეს (მე-5).

ი. ბეჟაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## სროლა

[...]ენაავენში დაიწყო ევროპის [ჩემპ]იონატი პნევმატური შაშხანის [სროლ]აში. სსრ კავშირის ქალთა [ნაკრებ]მა, რომლის შემადგენლობა[შიც იყვ]ნენ ტ. კრილოვა (389 ქულა), [...] რიბაკოვა (388) და მ. ალიფ[...] (376) გუნდურ შეჯიბრებაში [...] ქული მოაგროვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

# საგზურები განაწილდა

## თხილამურები

სათხილამურო რბოლებში რესპუბლიკის თასების გათამაშება იყო ბოლო შეჯიბრება, რომელსაც სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს ნაკრების წევრები უნდა დაესახელებინა. ცხადია, ყველა ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა საგზურების მოპოვების უკანასკნელი შანსი, მაგრამ სპორტსმენებს ნამდვილი გამოცდა მოუწყო ბუნებამ: 15 კილომეტრზე შეჯიბრების დღეს ბარდნიდა, ტემპერატურა 3 გრადუსამდე ავიდა, რბილი თოვლი თხილამურების მუხრუჭად იქცა.

ასეთ პირობებში შედეგები, რა თქმა უნდა, დაბალი იყო. გამარჯვებულმა ა. კალმიკოვმა (თბილისი) ფინიშამდე მისვლას 56 წუთი და 51 წამი მოანდომა. ბორჯომელი ლ. სოლოიანი მას 17 წამით ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა მესტიელმა გ. გულბანმა — 59,13.

იუნიორები ამავე დისტანციაზე ცდიდნენ ძალას. აქ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელები ვ. ტერეხოვი, ნ. მიტინი და ნ. დიაკონაშვილი.

ქალები 7,5 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. გარდაბნელ ნ. ბალაშვილს არც აქ ჰყავდა მეტოქე. თბილისელ ლ. ვასილენკოვას მან 3 წუთზე მეტი მოუგო, ხოლო ა. პროფიმენკოვას (39.50) 5 წუთზე მეტით აჯობა.

გოგონათა შორის თასს დაეუფლა ნ. ვასილენკოვა.

მეორე დღეს გაიმართა ესტაფეტები. ამინდი ამჯერად აშკარად სპორტსმენების მხარეს იყო — მზე და 8 გრადუსიანი ყინვა სრიალის კარგ პირობებს უქმნიდა. ვაჟთა შორის 3×8,5 კილომეტრზე ესტაფეტაში „ბურევესტნიკის" ტრიომ (ა. კალმიკოვი, ა. მოროზოვი, გ. ბლუდოვი) იმარჯვა — 1:20.0. მომდევნო ადგილები ერგოთ „კოლმეურნისა" (1:21.38) და „სპარტაკის" (1:21.40) გუნდებს.

ქალები 3×5 კილომეტრზე დარბოდნენ. სტარტზე მარტო „კოლმეურნისა" და „სპარტაკის" კოლექტივები გამოდიოდნენ. გამარჯვება სპარტაკელებს ხვდათ — 1:19.40.

რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელებმა ყ. თიბილოვმა და ი. პრიამორიკოვმა შეადგინეს ნაკრები, რომლის წევრები ნ. ბალაშვილი, რ. ზედგენიძე, მ. კალმიკოვა, ვ. ტერეხოვი, ლ. სოლოიანი, გ. გულბანი, ნ. მიტინი (ყველა — „კოლმეურნე"), ნ. დიაკონაშვილი, გ. მაკიევი, ნ. და ლ. ვასილენკოვები (ყველა — „სპარტაკი"), ა. მოროზოვი და ა. კალმიკოვი (ორივე — „ბურევესტნიკი") საკავშირო სპარტაკიადაში იასპარეზებენ.

ნაკრების ამ შემადგენლობას შეხვდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ჰერტენავა, ესაუბრა მომავლის ამოცანებზე და სვერდლოვსკის სტარტებში წარმატება უსურვა.

ჯ. ზაქარიაშვილი.

## ხელბურთი

### ჩემპიონატი დაიწყო

•

### თბილისის „ბურევესტნიკი" — ლვოვის ქვეჯგუფში

რიგაში დაიწყო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატი. პირველობის დებიუტანტებმა ადგილობრივი „ცელნტლიექსის" სპორტსმენებმა წააგეს ქვეყნის ჩემპიონებთან — მოსკოველ არმიელებთან — 26:29 (11:13). დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — ასკ (კიევი) 19:19 (13:9), „კუნცევო" (მოსკოვი) — „ალუმინისტროი" (ზაპოროჟიე) 22:16 (11:8). ჩემპიონატის მონაწილე დანარჩენი ექვსი გუნდი, მათ შორის თბილისის „ბურევესტნიკი", ასპარეზობას იწყებს ლვოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„როცა ვაყენებთ... ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების პრობლემებს, სპორტული ბაზებისა და სპორტული მოედნების მშენებლობის პრობლემებს, ჩვენ უწინარეს ყოვლისა ხაზს ვუსვამთ მის სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას".**

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან.



**რედაქციაში** ბარათი მოვიდა. რუსთავში, ხალხთა მეგობრობის გამზირის № 19-ში მცხოვრები ბავშვები მ. და ზ. ბლიაძეები, დ. მაჭარაშვილი, ი. გეგეშიძე, ზ. ურუშაძე, ზ. გოგიშვილი და სხვები, სულ 12 მოზარდი გვწერს:

„ძვირფასო რედაქცია! თქვენს გაზეთში ბევრჯერ წაგვიკითხია თუ რა ყურადღება ეთმობა ახლა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სპორტული ბაზების მოწყობასა და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლას. ჩვენი სახლის ახალგაზრდებმა გულთან მივიტანეთ „ლელოს" რჩევა-დარიგება როგორ უნდა მოეწყოს მარტივი ტიპის მოედნები და საქმეს შევუდექით — საკუთარი ძალებით სახლის წინ ადგილი გავასუფთავეთ, რკინის ძელები დავასეთ და მინი-ფეხბურთის მოედანიც მზად იყო.

საბურთაოდ შორს წასვლა აღარ გვჭირდებოდა, მშობლების თვალწინ ვთამაშობდით, მეზობელი სახლების თანატოლთა გუნდებს ვეჯიბრებოდით, მაგრამ რა? ჩვენი სახლის საკუთარი მანქანების მფლობელებმა დაგვჩაგრეს — ჩვენს მოედანზე უნებართვოდ ხრეში დაყარეს და მანქანები დააყენეს. გთხოვთ, დაგვეხმაროთ".

შეიძლებოდა რუსთაველი ნორჩების ეს წერილი სახალხო დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომისთვის გადაგვეგზავნა და ბავშვებისთვის დახმარების გაწევა გვეთხოვა, მაგრამ ზოგჯერ (თუმცა ძალიან იშვიათად) ისეც ხდება, რომ საჩივარი საფუძველს მოკლებულია, ამიტომაც ფაქტების ადგილზე შემოწმება ვამჯობინეთ. სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა!

* * *

**ხალხთა** მეგობრობის გამზირი რუსთავის ერთ-ერთი ულამაზესი ქუჩაა მრავალსართულიანი სახლებით, რომლებშიც ათასობით მოზარდი ცხოვრობს. ბავშვებს უბურთოდ, უმოძრაოდ აბა რა გააჩერებთ, ამ კვარტალში მცხოვრებლები კი ფიზიკური გაჯანსაღების ყოველგვარ სიკეთეს მოკლებული არიან.

მ. ბლიაძისა და მისი ამხანაგების წერილში მოყვანილი ფაქტები რომ სინამდვილეა, ამას **№ 1 ფოტოც** ადასტურებს. ადგილზე ჩვენი ჩასვლის დღეს მოედანი სავსე იყო მანქანებით (თითქოს სახლის მისასვლელთან მშენებლებს მანქანების სადგომი არ მოეწყოთ), ფანჯრებთან მომდგარი ბავშვები კი ნაღვლიანად შეჰყურებდნენ თავიანთ „ბაზას".

მაგრამ ვაი, რომ არა მარტო ამ სახლის ბავშვებს, არამედ მათ ასობით მეზობელსაც აქ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის

## წერილმა გზად გვიხმო

# ყურადღება: მოედანს იკავებენ... ავტომანქანები!

არავითარი კერა არ გააჩნია. კორპუსებს შორის უზარმაზარ ტერიტორიაზე მხოლოდ კერძო მანქანების 13 დახურული სადგომია აგებული. ცხადია, მათ აგებაზე რომელიმე ორგანიზაციამ კი არა, ავტომობილების მფლობელებმა იზრუნეს (უფრო მეტი მანქანა იქვე ღია ცის ქვეშ დგას), მაგრამ, ცხადია, არცერთს აზრადაც არ მოსვლია მათივე შვილების საკეთილდღეოდ საკუთარი ძალებით სპორტული მოედნებიც მოეწყოთ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის გაშლისთვის ეზრუნათ.

ეტყობა ამ კვარტალში სპორტთამაშების მოედნების აგების იდეა ოდესღაც, ვიღაცას გასჩენია (ამბობენ, სახლმმართველობის წამოწყებაა), კალათბურთის დგამებიც მოუტანიათ, № 23 სახლის წინ დაუყრიათ **(იხილეთ მეორე სურათი)** და... საქმეც ამით დაუმთავრებიათ.

იმავე კვარტალში, იქვე 30 მეტრში, მესამე სავალალო ფაქტს წავაწყდით. აქ ორიოდე წლის წინ მავთულის ბადით შემოღობილი, ასფალტდაგებული ფრენბურთის მოედანი ყოფილა, რომლითაც მოზარდები კი არა, დიდებიც სარგებლობდნენ, მაგრამ... ახლა იგი ისეთ სამარცხვინო მდგომარეობაშია, როგორც ეს **მესამე ფოტოზეა** აღბეჭდილი.

კვარტლის მიდამოებში საბავშვო და სპორტული მოედნების ძებნის დროს სკოლის ვრცელი ეზო შევნიშნეთ. ბუნებრივად დაგვებადა კითხვა: ხომ შეიძლებოდა ახლომახლო მცხოვრებმა ბავშვებმა სკოლის სპორტული ბაზებით ისარგებლონ? მერე ეს აზრი ჩვენს ირგვლივ შეკრებილ ათობით მოზარდს გავუზიარეთ.

უარის ნიშნად ყველამ თავი გააქნია: არ გვიშვებენ, თამაშის უფლებას არ გვაძლევენ, ხმაურით გაკვეთილების მსვლელობას ხელს უშლითო, არც ბაზები ვარგა...

პატარები ამჯერადაც მართლები გამოდგნენ.

მე-17 საშუალო სკოლის ვრცელ ტერიტორიაზე კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის მოედნები, „წინაღობათა ზოლი" და ფეხბურთის მინდორია (უფრო სწორად მოედანი, ვინაიდან აქ მინდვრის ნასახიც არსადაა), მაგრამ ვაი ამ ყოფას, ყველა მოუვლელია. აბა დახედეთ **მეოთხე ფოტოს!** მასზე აღბეჭდილია ამ სკოლის ფრენბურთის მოედანი, რომელზეც წყალი დგას.

ჩვენ მხოლოდ ხალხთა მეგობრობის გამზირის №№ 15, 19, 23 სახლების ეზოს დათვალიერებით დავკმაყოფილდით და ამდენი არასასიამოვნო ფაქტის მოწმენი გავხდით. პირველი ორი მრავალსართულიანი სახლი მეტალურგებს ეკუთვნით, მესამე — საქალაქო საბჭოს აღმასკომს, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს — ყველაში რუსთაველი მშრომელები, მათი შვილები, მათი ოჯახები ცხოვრობენ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ვარჯიშები ყველას სჭირდება.

აუცილებელია აქ საბავშვო და სპორტთამაშების მოედნების, საჭყუმპალაოს მოწყობა, ხეირიანი ფიზკულტურული ორგანიზატორის გამოძებნა, მუშაობის გაშლა, თორემ ასეთი კვარტალი, რა საკადრისია რუსთავისთვის, სადაც წლინახევრის წინ იშვა შესანიშნავი ინიციატივა — „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი — ჩვენს გვერდით!"

იმედია სახალხო დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, კერძოდ, მისი საბინაო სამმართველო აღნიშნული ეზოს ბავშვების კანონიერი სურვილის დასაკმაყოფილებლად მალე თავის სიტყვას იტყვის.

ბოლოს გვინდა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მოვაგონოთ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე თქმული: „...მშენებლებისა და დამპროექტებლებისადმი ჩვენ განსაკუთრებული პრეტენზიები გვაქვს. ისინი უხეშად არღვევენ, მეტწილად კი საერთოდ არ ასრულებენ მთავრობის მითითებებსა და სსრ კავშირის სახმშენის დადგენილებას სპორტულ ნაგებობათა სავალდებულო მინიმუმის მშენებლობის შესახებ. დამტკიცებული გვაქვს სავსებით კონკრეტული ნორმები საცხოვრებელი მასივებისთვის... და ეს ნორმები განუხრელად უნდა სრულდებოდეს"...

დიახ, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველომ ახლა იზრუნოს იმ ხარვეზების გამოსწორებისთვის, რაც მშენებლებმა მათი უკონტროლობით დაუშვეს.

**ო. გელაშვილი**







**ფიზკულტურა და სპორტი**
**რაიონული პრესის ფურცლებზე**

# „წითელი დროშა" ამხელს

**რესპუბლიკის** პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ რაიონულმა და საქალაქო გაზეთებმა კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს სასწავლებლების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის გაშუქებას, მიღწევების განზოგადებასა და ნაკლოვანებათა მხილებას.

ამ მიმართებით კარგ საქმეს აკეთებს საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომისა და სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო გაზეთი „წითელი დროშა" (რედაქტორი შ. ებანოიძე). იმის მიუხედავად, რომ გაზეთს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხებიც საკმაოდ აქვს განსახილველი, თითქმის ყოველ ნომერში წაიკითხავთ რაიონის ფიზკულტურული ცხოვრების ამსახველ წერილებს.

რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების საკითხებს. „წითელმა დროშამ" ნოემბერ-დეკემბერში (ხუთი კვირის მანძილზე) შვიდი, სხვადასხვა ხასიათის პრობლემური წერილი დაბეჭდა სკოლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობის, ბაზების მშენებლობის შესახებ, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამაჯანსაღებელ საქმიანობაზე...

გაზეთში ხშირად ვხვდებით რუბრიკას „სპორტულ ბაზებს — შეუნელებელი ზრუნვა", სადაც ლაპარაკია რაიონში სპორტული ბაზების, მოედნების აგებასა და მოვლა-პატრონობის შესახებ.

რაიონულ ცენტრში სპორტული ბაზებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებაზეა საუბარი წერილში „ვიდრე გვიან არაა". რამდენიმე წლის წინათ ლენინის ქუჩაზე, საერთო საცხოვრებლების წინ მოუწყვიათ კალათბურთისა და ფრენბურთის შესანიშნავი მოედნები. ამ ბაზებზე ვარჯიშობდნენ, აგრეთვე რუსთაველის, წერეთლისა და სხვა ახლო მდებარე უბნების ახალგაზრდები. მერე გასახდელებისა და საშხაპეების აგებაც განუზრახავთ, საქმესაც შედგომიან, საძირკველიც ჩაუყრიათ, მაგრამ... რამდენიმე წელია ბაზა უპატრონოდაა მიტოვებული.

ამავე თემას ეძღვნება მ[რიგ]ი ნომერში დაბეჭდილი წერილი „მარტო სპორტული ბაზა?", რომელშიც დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების ჭირ-ვარამზეა გამახვილებული ყურადღება. ბაზებზე ღონისძიებები არ იმართება, მოედნები კეთილმოუწყობელია. კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო თავს არ იწუხებენ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისთვის, სექციების ამოქმედებისა და ადგილობრივ მოსახლეობაში გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისთვის.

როგორც „წითელი დროშა" გვატყობინებს, მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის შენობა საექსპლოატაციოდ ერთი წლის წინათ გადაუციათ. სასწავლებელს სპორტდარბაზიც აქვს, მაგრამ საჭირო ინვენტარი არ გააჩნია. ღია მოედნების უქონლობის გამო მოსწავლეები სუფთა ჰაერზე ვარჯიშის შესაძლებლობას მოკლებული არიან. შეჯიბრებები ხშირად ქუჩაში ეწყობა.

გაზეთში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი სპორტული ბაზების მოწყობაში სარემონტო-სამშენებლო უბნის გულგრილობის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დაბალი დონის მიზეზთა მხილებას. განსაკუთრებით მწვავედ არის გაკრიტიკებული ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი. აქ ფიზკულტურის ინსტრუქტორად აგრონომი მ. ზივზივაძე გააფორმეს და მეურნეობაში საქმეც პროფილით შეუჩინეს, ამიტომაც მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა უპატრონოდაა მიტოვებული...

# სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

თბილისი. სპორტის სასახლე. 24 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 110:105 (63:56).

„დინამო“ (თბილისი): ძიძიგური, ჩხიკვაძე (2), ბიჭიაშვილი (10), ჩიხლაძე (8), ნ. ქორქია, დერიუგინი (49), გულდედავა (4), მ. ქორქია (35), გრძელიძე (2).

„დინამო“ (მოსკოვი): ი. გონჩაროვი, ხარჩენკოვი (14), ფედორინოვი (10), ფესენკო (40), ჟიგილიი (17), აგაპეევი (5), ა. გონჩაროვი (2), ბალაშოვი (11), სემიროვი (6).

მსაჯები: ი. აპოლონოვი (ლენინგრადი), ლ. არსლანოვი (ყაზანი).

დუბლიორები 108:115 (53:64).

### მატჩამდე

ჟიგილიი და ბალაშოვი. კარგა ხანია, ამ ორი კალათბურთელის სახელთანაა დაკავშირებული მოსკოვის დინამოელთა თითქმის ყველა წარმატება. ისინი მეტწილად ერთიმეორის გვერდით თამაშობენ, თანაბრად ინაწილებენ ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციებს და თუ ეს წყვილი შეთანხმებულად ამოქმედდა, ძნელად რომ ვინმემ შეძლოს მისი უვნებელყოფა.

პირველყოვლისა ეს არის ჩვენი გუშინწინდელი სტუმრების სიძლიერეცა და სხვათა შორის, ყველაზე მოწყვლადი ადგილიც. თუ აეწყო ამ დუეტის თამაში, წინდაწინვე შეგიძლიათ იწინასწარმეტყველოთ მატჩის შედეგი — მოსკოვის „დინამო“ გამარჯვებული დატოვებს მოედანს. თუ არა და... გუნდს ვერაფერი უშველის, მით უმეტეს, რომ მის რიგებში არ არის ცოტად თუ ბევრად ძლიერი „სნაიპერები“, დისტანციიდან ბრძოლით რომ აანაზღაურონ დანაკლისი. სწორედ ამ ფაქტორით აიხსნება ამ თავისებური კოლექტივის ერთობ არათანაბარი თამაშიც — როგორც შარშანდელ, ისე წლევანდელ ჩემპიონატში.

რაღა თქმა უნდა, ამ, ობიექტურად არსებული წანამძღვარებით ხელმძღვანელობდნენ მეტოქე გუნდების მწვრთნელები, როცა სათამაშო გეგმას აკონკრეტებდნენ 24 თებერვლის მატჩისთვის, ორთაბრძოლისთვის, რომლის შედეგი უეჭველად სიცხადეს შეიტანდა სატურნირო გაურკვევლობაში — გამარჯვებული კოლექტივი პრაქტიკულად ინაღდებდა ადგილს თოხეულში.

**ვლადიმერ კრუპენინი:** ქორქიასა და დერიუგინის მკაცრი მეურვეობა, კონტრშეტევის, ავრეთ წოდებული პირველი შეტევის, რაც შეიძლება ხშირად და ეფექტურად გამოყენება.

**ლევან მოსეშვილი:** ჟიგილიი — ბალაშოვის ტანდემის დარღვევა, გათიშვა. ყველაფერი ქორქიასა და დერიუგინის თამაშზე იქნება დამოკიდებული.

ამ ორი სქემატური მონახაზიდანაც ნათლად ჩანს, რომ მატჩის ბედი ძირითადად ქორქია — დერიუგინისა და ჟიგილიი — ბალაშოვის დუელს უნდა გადაეწყვიტა.

საგულისხმოა, რომ მოსკოველთა მწვრთნელს სიტყვა არ დაუძრავს პრესინგზე. როგორც ჩანს, მოსკოვურმა წარუმატებლობამ (გაიმარჯვეს თბილისელებმა) კრუპენინს ხელი ააღებინა ამ ტაქტიკაზე. თუმცა, ალბათ ჯერჯერობით. უშუალოდ მატჩის მსვლელობისას შეიძლება შეცვლილიყო კიდევ თავდაპირველი განზრახვა. გზადაგზა რიგი პრობლემები ჰქონდა გადასაწყვეტი ლევან მოსეშვილსაც. როგორმე უნდა შენარჩუნებულიყო გუნდის ლიდერთა ენერგია მატჩის მიწურულამდე. მართალია, პულავსკის არყოფნა აძნელებდა ამ ამოცანის გადაწყვეტას, მაგრამ სხვა გზაც არ იყო — უკანასკნელი გაკვეთილი (ლენინგრადის „სპარტაკთან“ მატჩი) ერთობ მწარე გამოდგა.

### მატჩი

პირველმა თორმეტმა წუთმა აშკარა გახადა, რომ იმთავითვე დასახულ გეგმას სწორედ თბილისელები ასრულებენ — ქორქიამ და დერიუგინმა ჩრდილში მოაქციეს მოსკოველთა წყვილი. მეორე მინი-ტაიმის კარგა დიდი ნაწილიც შეუცვლელად თამაშობს ეს ოთხი კალათბურთელი, მაგრამ ძალთა თანაფარდობა ისეთივეა. მატჩის პირველი სურათი შესაბამისად აისახა ციფრებშიც: ქორქიამ და დერიუგინმა 49 ქულა შესძინეს გუნდს, ჟიგილიიმ და ბალოშოვმა მხოლოდ 15. ორი ცენტრით თამაშს კარგი პირი არ უჩანს და მოსკოველები იძულებით დათმობაზე მიდიან — ამის შემდეგ დროის მეტ ნაწილს ბალაშოვი სათადარიგოთა სკამზე ატარებს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის დაკარგული. იმედს ალვივებს ფესენკოს შედეგიანი თამაშიც (22 ქ.) და... ალბათ სწორად მოიქცა, როცა შეხვედრის განახლებისას მოსკოვის „დინამომ“ ისევ პრესინგს მიმართა.

ფხიზლად არიან თბილისელებიც. მორიგეობით ისვენებენ დერიუგინი და ქორქია. ისიც სათქმელია, რომ წინა მატჩებისგან განსხვავებით მასპინძელთა უკან ხაზზე სამი კალათბურთელი თამაშობს მონაცვლეობით. ოპერაციის შემდეგ თამაზ ჩიხლაძე ჯერ კიდევ ვერ არის ჩვეულ სპორტულ ფორმაში, მაგრამ ჩიხლაძე მაინც ჩიხლაძეა და გუნდს ეს დაეტყო კიდეც.

ფესენკო (№ 8) კვლავ აგრძელებს ქულების მეთოდურად დაგროვებას, მაგრამ ეულად დარჩენილი ჟიგილიის ამოქმედება ვერა და ვერ მოხერხდა. მას შემდეგ კი, რაც მატჩის დასასრულამდე 7 წუთით ადრე 5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დასტოვა მოსკოველთა რვიანმა, ყველაფერი ცხადი გახდა — სტუმრები, ერთხელაც რომ არ დაწინაურებულან 48 წუთის მანძილზე, ფაქტიურად შეურიგდნენ დამარცხებას.

### მატჩის შემდეგ

**ვ. კრუპენინი:** გეგმა ვერ განვახორციელეთ. პირველყოვლისა კი თავდასხმაში. ძალზე ჩქარობდნენ ჩვენები. სუსტად ითამაშა ჟიგილიიმ, თუმცა სხვანაირადაც შეიძლება ითქვას — საუცხოოდ ითამაშა დერიუგინმა.

**ლ. მოსეშვილი:** ძირითადად გადავჭერით ყველა პრობლემა, მაგრამ მიუხედავად გამარჯვებისა, საკმაოდ იყო ხარვეზიც. განსაკუთრებით პოზიციური შეტევის დროს.





**სურათებზე:** წუთშესვენება (წინა პლანზე ნ. დერიუგინი); მოსკოველთა მწვრთნელი ვ. კრუპენინი გამარჯვებას ულოცავს ლ. მოსეშვილს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# როცა ჩანაფიქრი რეალობად იქცევა

ბიჭები ჩქარობდნენ, მოუმზადებლად ისროდნენ. მეტი თავშეკავება საჭირო. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ არ მოველოდი ფესენკოს ასეთ კარგ თამაშს. პულავსკის არყოფნა გუნდისთვის საგრძნობი დანაკლისია. მთელი სიმძიმე ქორქიას მხრებზე გადადის. თქმა არ უნდა, იღლება, მაგრამ სხვა გზაც არა გვაქვს.

შეხვედრის ოქმი, ასე საგულდაგულოდ რომ ივსება მატჩის მსვლელობისას, საფინალო სასტვენის შემდეგ ბევრ საგულისხმოს ამბობს.

თბილისის „დინამოს“ ხშირად საყვედურობენ ფარქვეშ პასიური, ბრძოლის გამო. ამ მატჩმა ბევრი ვერაფერი სასაყვედურო დაგვიტოვა. მასპინძლები 50-ჯერ დაეუფლნენ ფარიდან ასხლეტილ ბურთს, 30 — საკუთართან, 20 — მეტოქის ფართან. მოსკოველთა მაჩვენებლები ასეთია — 25 და 8. რაც შეეხება ზუსტ ტყორცნებს, თბილისელებს ისევ და ისევ მართებთ მუშაობა: 49 პროცენტით შორის ვერ წახვალ. საჯარიმო სროლების შედეგიანობაც ერთობ დაბალია — 70 პროცენტი. იგივე შეიძლება ითქვას დუბლიორებზეც. მახსენდება ეპიზოდი, როცა ფარის აღების ზედიზედ 5 ცდა უშედეგოდ დასრულდა. რადგან სათადარიგო შემადგენლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ შენიშვნას უთუოდ არ გვიწყენს გუნდის ხელმძღვანელობა: მაყურებლისთვისაც, მსაჯებისთვისაც ბევრად მოსახერხებელი იქნებოდა, კალათბურთელებს უფრო გარკვევით რომ ეწეროთ ნომრები მაისურებზე. ეს არც ისე ძნელად მოსაგვარებელი საკითხია.

ი. ბერიაშვილი.

# ასპარეზობენ თბილისელი მოსწავლეები

**თბილისის** ფალავანთა კლუბში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა დედაქალაქის 1978 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 1961-1962 წლებში დაბადებული 175 მოსწავლე მონაწილეობდა. ამ საინტერესო ასპარეზობათა შესახებ გვიამბობს შეჯიბრების მდივანი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ტ. ქარბაძე:

— აღნიშნულ ტურნირში თბილისის განათლების განყოფილების, „შრომითი რეზერვების“, „დინამოს“, „სპარტაკისა“ და „განთიადის“ კოლექტივები მონაწილეობდნენ. მეორე წელიწადია შეჯიბრებაში სრული გუნდებით არ არიან წარმოდგენილი „ლოკომოტივი“ და „ბურევესტნიკი“.

ბრძოლა გუნდური პირველი ადგილისთვის განათლების განყოფილების, „სპარტაკისა“ და „შრომითი რეზერვების“ კოლექტივებს შორის წარიმართა. განათლების განყოფილებისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდებმა თანაბარი საჯარიმო ქულები (26-26) დააგროვეს. მაშინ მსაჯთა კოლეგიამ, ქალაქის პირველობაზე გამარჯვებულად განათლების განყოფილების გუნდი მიიჩნია, რადგან მას თავის ძირითად მეტოქეზე უფრო მეტი ჩემპიონი აღმოაჩნდა. მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ სპარტაკელი მოჭიდავეები.

პერსპექტიული მოჭიდავეებიდან პირველ რიგში გამოვყოფდი სსრ კავშირის ექსჩემპიონს, სპორტის ოსტატ ნ. გოგიბედაშვილის 16 წლის ვაჟს ლევანს, რომელიც ჩინებულად ასპარეზობდა 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მან 6 შეხვედრიდან 5 წმინდად და 1 ქულებით მოიგო. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში თავისებური რეკორდი დაამყარა სპარტაკელმა ზ. მაისურაძემ, რომელმაც 6 შერკინებიდან ყველა წმინდად მოიგო. ამ ნიჭიერმა ფალავანმა შარშან, მოსკოვის ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში ისახელა თავი. ერთი რომ უდავოა, რომ იგი დღეისთვის ერთ-ერთი უძლიერესია ამ წონით კატეგორიაში. ქების ღირსნი არიან ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი, განათლების განყოფილების წარმომადგენელი გ. გოგრიჭიანი (56 კილოგრამი) და გ. სალთხუციშვილი („სპარტაკი“), რომელიც 60 კილოგრამ წონაში ასპარეზობდა. სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს აგრეთვე თ. ინაურმა, ი. მარღიშვილმა, პ. პაპიაშვილმა და მ. ყლაჯიშვილმა. ეს უკანასკნელი შარშან პირველ ადგილზე გამოვიდა გროზნოში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: გ. ზოზრაშვილი („სპარტაკი“), ე. წიქორიძე (განათლების განყოფილება), ი. ბახტაძე („სპარტაკი“), გ. გოგრიჭიანი (განათლების განყოფილება), გ. სალთხუციშვილი („სპარტაკი“), თ. ინაური (განათლების განყოფილება), მ. ყლაჯიშვილი (განათლების განყოფილება), ლ. გოგიბედაშვილი („დინამო“), ზ. მაისურაძე („სპარტაკი“), მ. რევაზიშვილი („ბურევესტნიკი“) პ. პაპიაშვილი (განათლების განყოფილება).

1-4 მარტს ქალაქ გორში გაიმართება საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში იმ ასაკის მოჭიდავეთა შორის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს თბილისის ნაკრები.

შ. ქორიძე.

### მსოფლიო ჩემპიონების მატიანე

# ახალი გამარჯვება

1907 წლის ზაფხულში, ოსტენდეში (ბელგია) მოეწყო ეგრეთ წოდებული ჩემპიონთა ტურნირი, რომელსაც ფაქტიურად მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი უნდა დაესახელებინა. უძლიერესი აღმოჩნდნენ (დაკავებული ადგილების მიხედვით): ზ. ტარაში (გერმანია), კ. შლეხტერი (ავსტრია), ფ. მარშალი (აშშ) და დ. იანოვსკი (რუსეთი). მსოფლიო ჩემპიონმა დაამარცხა ორი მათგანი: ოსტენდეს ტურნირამდე — ფ. მარშალი, მერე ზ. ტარაში. რჩებოდა შლეხტერი და იანოვსკი. მათთან შეხვედრის საწინააღმდეგო ე. ლასკერს არაფერი ჰქონდა.

მაგრამ ამ პრეტენდენტებთან მატჩის თაობაზე მოლაპარაკებამდე ლასკერმა მ. ჩიგორინის მემორიალის ორგანიზატორთა მიწვევა მიიღო და პეტერბურგს გაემგზავრა. ამბობდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონი ფიქრობდა რუსეთის დედაქალაქში გაცნობოდა შესაძლებელ პრეტენდენტებს ახალი თაობიდან. ამ ტურნირში შლეხტერიც მონაწილეობდა, მაგრამ იგი ცუდად გამოვიდა — (VIII-X ადგილები გაიყო). სამაგიეროდ, დიდი შთაბეჭდილება დატოვა რუსეთის ჩემპიონმა, 27 წლის ა. რუბინშტეინმა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონს პარტია მოუგო და I პრიზიც გაუყო. ნიჭიერი ახალგაზრდა ერთ-ერთ სერიოზულ პრეტენდენტად აღიარეს.

ყველას აინტერესებდა: ვის შეხვდებოდა ლასკერი — რუბინშტეინს, შლეხტერსა თუ იანოვსკის? კოლეგებს იანოვსკიმ დაასწრო.

დავით იანოვსკი (25. V. 1868 — 15.I. 1927) სარბიელზე თითქმის ლასკერთან ერთად გამოჩნდა 90-იან წლებში. 20 წლისა პარიზში ჩავიდა სახელის და დიდების საძიებლად. რუსეთის მკვიდრს (ქ. ვოლკოვისკი, გროდნოს გუბერნია) იქ არავინ იცნობდა, მაგრამ კაფე რეჟანსში მალე მოიხვეჭა ძლიერი მოჭადრაკის სახელი. გარეგნობით ლამაზი, მუდამ ელეგანტურად ჩაცმული იანოვსკი საერთო სიმპათიით სარგებლობდა. მისი ყველაზე დიდი წარმატებები 1898-1905 წლებშია მოპოვებული, თუმცა საერთაშორისო სარბიელზე 1894 წელს გამოჩნდა.

იანოვსკი დიდი ძალის მოჭადრაკე იყო. მას დაუმარცხებია ყველა კორიფე — ვ. სტეინიცი, ე. ლასკერი, მ. ჩიგორინი, ჰ. პილსბერი, ფ. მარშალი, ზ. ტარაში, კ. შლეხტერი, შემდგომ ხ. კაპაბლანკა და ა. ალიოხინი. 1899 წელს მან მატჩში გამოიწვია ლასკერი, მაგრამ საჭირო თანხა ვერ შეაგროვა და შეხვედრაც არ შედგა.

იანოვსკი აგრესიული სტილით თამაშობდა. მისი მიზანი იყო იერიში, კომბინაცია. მუდამ ცდილობდა შეექმნა ჭეშმარიტი შედევრი. ისე უყვარდა თამაში, რომ ხშირად აგიწყდებოდა რისთვის მონაწილეობდა ტურნირში. შემდგომ ლასკერი მეგობრული ირონიით დაწერს: „იანოვსკის პარტიები ცხადყოფენ, რომ შეიძლება მას ათჯერ ჰქონდეს მოგება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, პარტიასთან განშორების სინანულით, დაჯერებულად წააგოს იგი“. იანოვსკის საშინლად სწყინდა და პირად შეურაცხყოფად ღებულობდა ყაიმის შეთავაზებას. ამიტომ ხშირად უსაფუძვლოდ განაგრძობდა მოგებაზე თამაშს და სუსტ მოჭადრაკესთანაც მარცხდებოდა.

იანოვსკი არ იყო შეუპოვარი, ანგარიშიანი მოთამაშე, თუმცა ძალზე თამამად და ვაჟკაცურად იბრძოდა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც სიმტკიცე და სიმრთელე აკლდა, განსაკუთრებით მატჩებში. ერთი სიტყვით, ჭადრაკსა და ცხოვრებაში იანოვსკი ბოჰემური ბუნების იყო.

ამიტომ ჭადრაკის სამყაროს ნაკლებად სჯეროდა იანოვსკის წარმატებისა მსოფლიო ჩემპიონთან ჭიდილში. მაგრამ იგი ბედის ნებიერი აღმოჩნდა. იანოვსკის ლამაზ თამაშს, კომბინაციურ აზრს საფრანგეთში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მათ შორის მდიდარი მეცენატებიც.

1909 წლის მაისში ერთ-ერთმა მეცენატმა 2500 ფრანკი გადაუხადა ლასკერს, რომ პატარა მატჩში (ოთხი პარტია) შეხვედროდა იანოვსკის. კერპმა გაახარა თავისი ქომაგი, როცა შეხვედრა ანგარიშით 2:2 დაამთავრა. თითოეულმა მეტოქემ ორი პარტია მოიგო.

ამ მოულოდნელმა წარმატებამ აალაპარაკა საჭადრაკო პრესა, ააგულიანა გულშემატკივრები. ქომაგებმა ხელმოწერით იანოვსკის 7 ათასი ფრანკი შეუგროვეს და მსოფლიო ჩემპიონი იმავე წელს მატჩში გამოაწვევინეს. ლასკერი დათანხმდა.

მეტოქეებმა მოილაპარაკეს, რომ მატჩი შედგებოდა 10 პარტიიდან. ყაიმის (5:5) შემთხვევაში ლასკერი დარჩებოდა მსოფლიო ჩემპიონად. შეხვედრა მოეწყო 1909 წლის ოქტომბერ-ნოემბერში პარიზში. სხვათა შორის, იანოვსკიმ თავისი საუკეთესო წლები საფრანგეთში გაატარა, სიცოცხლეც იქვე, დიდ სიღარიბეში დაასრულა.

ლასკერი დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. მან იცოდა, რომ იანოვსკიმ უკვე კარგა ხანია განვლო შემოქმედებითი აღმავლობის ხანა და პატარა მატჩში მისი მიღწევა შემთხვევითობით ახსნა.

მსოფლიო ჩემპიონის შეხედულება სწორი აღმოჩნდა. მან შედარებით ადვილად დაამარცხა იანოვსკი. აი, როგორ მიმდინარეობდა პაექრობა: 0,5:0,5, 1,5:0,5, 2,5:0,5, 3,5:0,5, 4,5:0,5, 4,5:1,5, 5,5:1,5, 6:2, 7:2, 8:2 (+7—1=2).

მიმომხილველები წერდნენ: ვიცოდით, რომ ასე მოხდებოდა. ლასკერის ფოლადის ლოგიკას ვერაფერს დააკლებდა იანოვსკის ცეცხლოვანი თამაში. მსოფლიო ჩემპიონის ღრმა სტრატეგიამ არ გააშლევინა იანოვსკის ფრთებიო.

აი, მათი თამაშის ერთ-ერთი დამახასიათებელი პარტია, რომელიც ლასკერს თავის სახელმძღვანელოში მოჰყავს.

**იანოვსკი — ლასკერი**

ოთხი მხედრის დებიუტი

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. მc3 მf6 4. კb5 კb4 5. 0—0 0—0 6. d3 d6 7. კg5 კ:c3 8. bc მe7 9. კc4 მg6 10. მh4 მf4 11. კ:f4 ef 12. მf3 კg4 13. h3 კh5 14. ეb1 b6 15. ლd2 კ:f3 16. gf მh5 17. მფh2 ლf6 18. ეg1 ეae8 19. d4 მფh8 20. ეb5 ლh6 21. ეbg5 f6 22. ე5g4 g6 23. კd3 ეe7 24. c4 მg7 25. c3 მe6 26. კf1 f5 27. ე4g2 ეf6 28. კd3 g5 29. ეh1 g4 30. კe2 მg5 31. fg f3 32. ეg3 fe. იანოვსკი დანებდა.

მატჩი დამთავრებული არ იყო, რომ საზოგადოებრიობა უკვე კითხულობდა: ვინაა შემდეგი? თავადვე პასუხობდა — კარლ შლეხტერი.

თ. გიორგაძე.

### ჩოგბურთი

# ევროპა — სამხრეთ ამერიკა

**ესპანეთის** ჩოგბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა 9-12 მარტს მადრიდში გამართოს შეხვედრა „ევროპა-სამხრეთ ამერიკა“. მოეწყობა ერთეულთა ხუთი და წყვილთა ორი შეხვედრა. წინასწარი მონაცემების მიხედვით ევროპა წარმოდგენილი იქნება შემდეგი ცნობილი ჩოგბურთელებით: ნასტასე, ბარაცუტი, ფიბაკი, მოტრამი, პანატა და ჰიგუერასი (სათადარიგო), ხოლო სამხრეთ ამერიკა — ვილასი, რამირესი, ფილოლი, პერი, კოხი და ველასკო (სათადარიგო).



ეს ორი ფოტოსურათი მზიური აფხაზეთის სპორტულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს: ირინე გეგელაშვილი (სოხუმის ფე-ჩიჩ-ტანვარჯიშო სკოლა) გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა არმიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში, რომელიც სოხუმის ბავშვთა სპორტული ტანვარჯიშის სკოლამ მოაწყო (ფოტოზე მარჯვნივ); „ეშერის" საწვრთნელ ბაზაზე ახალი საფეხბურთო სეზონისთვის ემზადებიან კოლმეურნე ფეხბურთელები (მწვრთნელი ტ. ნიქაბაძე).

ა. იორდანიშვილის ფოტოები.



# მარცხი ყველა ეტაპზე

საბჭოთა კავშირის მოთხილამურე ვაჟებს ესტაფეტაში მსოფლიო პირველობაზე ასეთი მარცხი თითქმის არ განუცდიათ. ლაჰტში პირველიდან ბოლო ეტაპამდე ისინი მეტოქეებთან თანდათან აგებდნენ და ბოლოს მხოლოდ მეოთხე ადგილის მოპოვება შეძლეს.

4×10 კილომეტრზე ესტაფეტის პირველივე ეტაპზე ე. ბელიაევმა, რომელმაც მანამდე 15 კილომეტრზე შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი მოიგო, მეორე კილომეტრის მერე წინ გაუშვა ჯერ შვედი ს.-ო. ლუნდბაკი, მერე ნორვეგიელი ლ.-ე. ერიქსონი, შვეიცარიელი ჰ.-ი. კრეიცერი, ფინელი ე. ლეჰტევიანორია და დასავლეთგერმანელი გ. ზიპფელი.

ფინელი ამ ჩემპიონატში სტარტზე პირველად დადგა და ვინ იფიქრებდა, რომ იგი თავის გუნდს ამდენ ფორას მოუტანდა. ბელიაევმა ეტაპზე გამარჯვებულ ლუნდბაკთან 33 წამი წააგო. ეს თითქოს ბევრი არ არის, ვინაიდან ისტორიამ იცის მაგალითები, როცა თითქმის წუთიან ჩამორჩენას თანაგუნდელები დარჩენილ სამ ეტაპზე ასწორებენ და ბოლოს მკერდს ოქროს მედლებით იმშვენებენ.

მაგრამ ამჯერად ბელიაევის თანაგუნდელებმა ნ. ზიმიატოვმა, ს. საველიევმა და ვ. როჩევმა ეს ვერ შეძლეს. პირიქით, მეორე ეტაპზე ზიმიატოვმა ჩამორჩენა წუთზე მეტით გაზარდა, მესამე ეტაპზე საველიევმა მართალია, მეექვსედან გუნდი მეოთხე ადგილზე გადაიყვანა, მაგრამ ლიდერს უკვე 2 წუთზე მეტით ჩამორჩა. როჩევმა ზარალს კიდევ 36 წამი დაუმატა.

საბოლოოდ ჩემპიონი გახდა შვეციის გუნდი, რომლის შემადგენლობაში ლიუნდბეკთან ერთად გამოდიოდნენ ჰ. იოჰანსონი, ტ. ლიმბიუ და ტ. მაგნუსონი — 2:05.17,63. ვერცხლი ფინელებს ერგოთ. ისინი შვედებს 11,32 წამით ჩამორჩნენ. ბრინჯაო ნორვეგიელებმა მიიღეს. მათი შედეგია 2 საათი, 6 წუთი და 48,37 წამი. საბჭოთა კვარტეტმა აჩვენა 2:07.56,54.

მსოფლიო ჩემპიონატზე მედლები გასათამაშებელი დარჩა კიდევ ქალების 20, ვაჟების 50 კილომეტრზე რბენაში და 90-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაში.

# ექს-ჩემპიონის იმედები

**მუჰამედ ალი** აღარ არის მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის! ეს სენსაციური ცნობა პროფესიული კრივის თაყვანისცემელთა შორის მეხივით გავარდა.

როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ, ლას-ვეგასში გამართული შეხვედრისას ალიმ თავისი 58-ე ბრძოლა ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისთვის ქულებით წააგო, ქვემძიმე წონაში მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ლეონ სპინქსთან, რომლისთვისაც ეს პაექრობა მხოლოდ მერვე იყო პროფესიულ რინგზე.

ალის თქმით ეს შეხვედრა უფრო საწვრთნელი ხასიათისა უნდა ყოფილიყო კენ ნორტონთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ, რომლის გამართვა მიმდინარე წლის მაისისთვის იყო დაგეგმილი.

ალის სპინქსთან ეს „გასეირნება" ბევრისთვის მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. უძლეველი ალი დამარცხდა 24 წლის მოკრივესთან, რომლის შესაძლებლობას ეჭვის თვალით უყურებდნენ. ეს წაგება მუჰამედ ალისთვის პროფესიულ რინგზე რიგით მესამე იყო. აი, რა თქვა ამ მარცხის შემდეგ ალის მუდმივმა ექიმმა და მასაჟისტმა დოქტორმა პაჩეკომ — „ალი ახლა შეიძლება ნებისმიერ დროს დამარცხდეს. იგი ის აღარ არის, რაც ამ ცოტა ხნის წინათ იყო. 36 წელი სახუმარო ასაკი როდია. სამწუხაროდ, იგი ფიზიკურად ვეღარ უმკლავდება მოწინააღმდეგეს".

მუჰამედ ალის, ჯო ფრეზიერისა და ჯორჯ ფორმენის შემდეგ ლეონ სპინკსი მეოთხე ოლიმპიური ჩემპიონია, რომელმაც პროფესიულ რინგზე გაიმარჯვა.

კრივის ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სპინკსის ეს გამარჯვება ალის 14-წლიანი კარიერის დასასრულის მომასწავებელია, კარიერისა რომელიც 1964 წელს სონი ლისტონთან ნოკაუტით მოგებული შეხვედრით დაიწყო და უმაღლეს მწვერვალს 1974 წელს მიაღწია, როცა ჯორჯ ფორმენთან მოგების შემდეგ კვლავ დაიბრუნა ჩემპიონის სახელი.

„იქნებ მომეცეს შესაძლებლობა კვლავ დავიბრუნო ჩემპიონის გვირგვინი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. მაშინ მე ვიქნები პირველი პროფესიონალი მძიმე წონის მოკრივე, რომელმაც სამჯერ მოიპოვა უძლიერესის ტიტული" — იმედს არ ჰკარგავს მუჰამედ ალი.

ალის ეს სიტყვები ერთობ იმედიანად ჟღერს, რადგანაც პროფესიულ რინგზე ყველაფერია მოსალოდნელი.

გერმანულიდან თარგმნა
მალხაზ რადიანმა.

კრივი

## „სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს" მერვე ტირაჟი. აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

პირველი: 4, 14, 21, 22, 28.

მეორე: 4, 14, 25, 28, 34.

# „ლუპავენ თამაშს"

## ბურჟუაზიული სპორტის ზნე-ჩვეულებანი

ჟურნალმა „სპორტმა" (აშშ) გამოაქვეყნა ყოფილი კალათბურთელის, ამჟამად კლუბ „ბაქსის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის უეინ ემბრის ინტერვიუ სათაურით „მფლობელები ლუპავენ თამაშს". ვბეჭდავთ შემოკლებით:

„შეხედეთ",—თქვა უეინ ემბრიმ, თანაც ხელში შეათამაშა კალათბურთის ბურთი, — შეხედეთ ამას. ოდესღაც იგი უსაზღვრო სიამოვნებას მანიჭებდა, ახლა კი ბიზნესი გახდა. ზოგიერთი მფლობელი სიამოვნებას უსპობს მოთამაშესაც და მაყურებელსაც და ლუპავს თამაშს".

ბევრი ითქვა კალათბურთში გაუმაძღრობისა და მოტყუების შესახებ. მაგრამ პროფესიული სპორტი ნაწილია ჩვენი საზოგადოებისა, რომელსაც სურს მხოლოდ მოგება რადაც უნდა დაუჯდეს. ჩვენ ყვავილებით ვამკობთ გამარჯვებულებს, დამარცხებულებს კი ქვებს ვესვრით და ის, რაც კალათბურთში ხდება — მოგება რადაც უნდა დაჯდეს — არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც ხდება სხვა დიდ ბიზნესში.

კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში დავყავი 20 წელი, როგორც გუნდების — „როიალზის" (ცინცინატი), „სელტიკსის" (ბოსტონი) და „ბაქსის" (მილუოკი) მოთამაშემ. 1966 წელს გადავწყვიტე პროფესიული სპორტიდან წასვლა, თუმცა 29 წლის ვიყავი. მოვეწყე კიდეც სამუშაოდ კომპანია „პეპსი-კოლას" გასაღების განყოფილებაში, მაგრამ „სელტიკსის" მწვრთნელი გახდა ბილ რასელი, რომელმაც თავის გუნდში მიმიწვია და მეც ახალი კონტრაქტი დავდე.

როცა გუნდში მივედი 285 ფუნტს ვიწონიდი. პირველი ვარჯიშის წინ ვიღაცამ მოახსენა ამის შესახებ რასელს. მაშინ მან ორსაათნახევარი ისე მარბენინა წინ და უკან, რომ ერთხელაც არ მომცა ბურთი ხელში. მე დავრბოდი, ვასრულებდი ტანვარჯიშულ ილეთებს და კვლავ დავრბოდი. მეგონა, ეს-ესაა მოვკვდები-მეთქი. როცა ვარჯიშს მოვრჩით, წონაში უკვე საგრძნობლად დაკლებული ვიყავი.

რასელი არ ღებულობდა არც მწვრთნელთა დახმარებას და არც ვეტერანების რჩევას. მას სურდა გამოემჟღავნებინა თავისი, როგორც მწვრთნელის შესაძლებლობა, მოთამაშე მწვრთნელი მისგან სუსტი დადგა — როგორც მოთამაშე უკეთესი იყო.

ვარჯიშის დროს რასელი გვერდით ხაზთან იჯდა და ყავას სვამდა. შემთხვევით ამტყდარი შეხლა-შემოხლისას რასელი რომელიმე მოთამაშის მისამართით იტყოდა: „და შენ უფლებას აძლევ ვინმეს გცემოს?", რის შემდეგაც იმართებოდა ნამდვილი მუშტი-კრივი.

მე გადავედი „ბაქსში". მალე კლუბის პრეზიდენტის თანაშემწე გავხდი, შემდეგ კი გენერალური დირექტორი. მე ვიყავი პირველი ზანგი, რომელმაც ეს პოსტი დაიკავა კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში.

და აქ პირველად შევეჯახე პრობლემებს, უფრო სწორად ლიგაში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს. ახალგაზრდა მოთამაშეთაგან ჩვენს კლუბში მინდოდა მომეწვია ჯულიუს ირვინგი, მაგრამ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის წესდების თანახმად მას გუნდში ვერ ავიყვანდით მანამ, სანამ სწავლას არ დაამთავრებდა. მოველაპარაკე ირვინგს იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა ჩვენს კლუბში ითამაშებდა, მაგრამ სანამ სასწავლო წლის დამთავრებას ველოდებოდი, „ატლანტის" ხელმძღვანელმა რიჩი გერინმა კონტრაქტი დადო ირვინგთან. ამ უკანონო გარიგების გასამართლებლად რიჩიმ თქვა: „მე იძულებული ვიყავი გამეკეთებინა ეს. თუ არ გავიმარჯვებ, ქუჩაში გამაგდებენ".

მე დავურეკე კომისარს უოლტერ კენედის და ვუთხარი, რომ ატლანტიკის გუნდისა და ირვინგს შორის დადებული კონტრაქტი ლიგის წესდების დარღვევაა. მაგრამ კომისარი უძლური აღმოჩნდა. მან ვერ აიძულა გუნდების მფლობელები, გაუმაძღარი ბიზნესმენები, ისეთები, როგორიცაა პოლ სნაიდერი (ბუფალო) და სემ შულმანი (სიეტლი), დაეცვათ წესდება.

ზოგიერთი მფლობელისთვის წესდება არაფერს ნიშნავს. სიხარბე ყოველგვარ წესზე მაღლა დგას.

დაახლოებით იმ პერიოდში წამოიჭრა მეორე სერიოზული პრობლემაც. ტელეფონით დაგვირეკეს, რომ ერთ-ერთი ჩვენი მოთამაშე ნარკოტიკებს იღებს. ჩვენ შევშფოთდით. ამას გარდა შემაწუხა ამ მოთამაშის კარიერამ. თავად უცნაურად იქცეოდა. ხანდახან ვარჯიშის დროს საუბრისას წამოხტებოდა და ყოველგვარი მიზეზის გარეშე დარბოდა მოედნის ირგვლივ.

გაზეთებში აურზაური იზრდებოდა. ბოლოს და ბოლოს დავიქირავეთ კერძო მაძებრები, რომლებმაც მის სასტუმროს ნომერში აღმოაჩინეს კოკაინის ფხვნილი.

მომდევნო სეზონში „ბაქსმა" დაკარგა წამყვანი მოთამაშე ქარიმ აბდულ ჯაბარი.

ქარიმმა გამოგვიცხადა, რომ მას არ მოსწონს მილუოკში და სურს სეზონის ბოლომდის სხვა გუნდში გადასვლა.

დირექტორთა საბჭოში აზრთა სხვადასხვაობა იყო ქარიმის საკითხის თაობაზე. ერთნი ფიქრობდნენ, რომ შევძლებდით ქარიმის „მორჯულებას". ვიღაცამ თქვა, ჯაბარი დაინტერესებულია აღმოსავლური ხალიჩებით და ვცადეთ ჩავება მილუოკში ხალიჩებით ვაჭრობაში.

ისიც ითქვა, რომ ქარიმი ოცნებობდა სახლი ჰქონოდა ნიუ იორკში. საბჭოს ერთ-ერთი წევრი გაფრინდა სემ. გილბერტთან ერთად ნიუ იორკში, შესაფერი სახლის მოსაძებნად.

მე ვკითხე ქარიმს: „შენ ჩემით ხარ უკმაყოფილო თუ მწვრთნელებით? თუ ასეა შეიძლება ჩვენ გამოვიცვალოთ, მაგრამ შენი შეცვლა არ შეიძლება. შენ მთავარი მისატყუარი ხარ". მან მიპასუხა, რომ უბრალოდ არ სურს მილუოკში დარჩენა.

გუნდის მფლობელებმა კალათბურთი ბიზნესად გადააქციეს, სადაც კლუბისადმი ერთგულება არაფერს ნიშნავს. სპორტსმენთა აგენტები ცდილობენ „თავისიანებისათვის" მოძებნონ კლუბი, საწრაფოდ დადონ მაღალი კონტრაქტი, მიიღონ 10 პროცენტი იმ თანხისა, რომელიც განკუთვნილია ახალი პროფესიონალი მოთამაშისთვის. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ითამაშებს კალათბურთელი ამ კლუბში.

პროფესიულ კლუბებში ძირითად გადაწყვეტილებებს ღებულობენ არა სპეციალისტები, არამედ გუნდის მფლობელები. მათ სწრაფად სურთ წარმატების მიღწევა და მიაჩნიათ, რომ როგორც სხვა ბიზნესში, სპორტშიც გამარჯვებას საბოლოოდ ფული უზრუნველყოფს.

ისინი ანგარიშს არ უწევენ მოთამაშეებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც აუცილებელია გამარჯვების მისაღწევად. კალათბურთი ხომ კოლექტიური თამაშია, ზოგიერთი მფლობელი საკალათბურთო ბიზნესში მონაწილეობს გართობის ან სკანდალური დიდების მოპოვების მიზნით, ან იმიტომ, რომ მოსწონს სპორტსმენთა შორის ყოფნა.

გუნდის ერთ-ერთი მფლობელი ამტკიცებს, რომ რადგან იგი ფულს უხდის გუნდს, უფლება აქვს იყოს მწვრთნელიც და გენერალური დირექტორიც. ჩემის აზრით, პროფესიული სპორტი მონობაა, მართალია ანაზღაურებითი, მაგრამ მაინც მონობა.

და აი, როცა ესა თუ ის გუნდი ჩემპიონი ვერ ხდება, მფლობელები ამბობენ: „ფული არ დამიშურებია. ალბათ ეს მოთამაშეების ან მწვრთნელის ბრალია". საბოლოოდ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს ასეთი ულტიმატუმი აქვთ წაყენებული — ან გამარჯვება, ან ქუჩაში გაგდება (საკდესი).

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის თეორიის — 93-97-57; მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის — 93-97-58; შაღრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-19; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 07895